დადგენილება № 123/2021 - სსიპ – თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) აფილირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ

დადგენილება № 123/2021
თარიღი: 05 ნოემბერი, 2021 წელი

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის, 56-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 57-ე მუხლის, საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს შრომის კოდექსის" მე-11 მუხლის მე-3 ნაწილის, „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის #99/ნ ბრძანების, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 07 ივლისის N 05/90 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდების" მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „პ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილებიდან გამომდინარე, ამავე მუხლის პირველი პუნქტის ,,წ" ქვეპუნქტის და კონსერვატორიის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 05 ნოემბრის № 51 სხდომაზე დაფიქსირებული პოზიციების ურთიერთშეჯერების საფუძველზე (აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმი N 51),

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს:
   ა) სსიპ – თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) აფილირების წესი და პირობები წარმოდგენილი დანართი № 1-ის სახით;
   ბ) შეთანხმება აფილირების შესახებ წარმოდგენილი დანართი № 2-ის სახით;
2. დადგენილება დასამტკიცებლად წარედგინოს სსიპ – თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წარმომადგენლობით საბჭოს;
3. დადგენილების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს კონსერვატორიის ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს, ფაკულტეტების დეკანებსა და პროგრამების ხელმძღვანელებს;
4. დადგენილების ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსება დაევალოს კონსერვატორიის საქმეთა წარმოების სამსახურს;
5. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6).
6. დადგენილება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

ნანა შარიქაძე

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

დანართი №1

სსიპ – თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის
აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი)
აფილირების წესი და პირობები

1. **მიზანი**

   წინამდებარე დოკუმენტის მიზანია ხელი შეუწყოს სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიასა (შემდგომში კონსერვატორია) და კონსერვატორიის აკადემიურ პერსონალს შორის იმგვარი შრომითი ურთიერთობების ჩამოყალიბებას, რომელიც აკადემიურ პერსონალს მისცემს საშუალებას თავისი საგანმანათლებლო, შემოქმედებითი-სამეცნიერო თუ საექსპერტო-სერვისული საქმიანობა აწარმოოს კონსერვატორიის სახელით, ხოლო კონსერვატორიას მისცემს საშუალებას მაქსიმალურად და შესაძლებლობის ფარგლებში უზრუნველყოს აკადემიური პერსონალის შესაძლებლობების რეალიზება.

2. **მოქმედების სფერო**

   წინამდებარე წესი არეგულირებს კონსერვატორიის აკადემიური პერსონალის აფილირების წესსა და პირობებს, ადგენს აფილირებასთან დაკავშირებით აკადემიური პერსონალისა და კონსერვატორიის უფლებებსა და მოვალეობებს;

3. **ტერმინთა განმარტება**

3.1. აფილირება - კონსერვატორიასა და კონსერვატორიის აკადემიურ პერსონალს შორის დადებული წერილობითი შეთანხმება, რომლის ფარგლებშიც აკადემიური პერსონალი საკუთარ საგანმანათლებლო და შემოქმედებით-სამეცნიერო საქმიანობას საქართველოში არსებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის უკავშირებს მხოლოდ კონსერვატორიას და კონსერვატორიის სახელით მონაწილეობს საზოგადოების განვითარებისა და ცოდნის გაზიარების პროცესებში, როგორც ქვეყნის, ასევე მის ფარგლებს გარეთ;

3.2. აფილირებული აკადემიური პერსონალი - აკადემიური თანამდებობის მქონე პირი (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი), რომელსაც კონსერვატორიასთან გაფორმებული აქვს აფილირების წერილობითი შეთანხმება;

4. **აფილირებული აკადემიური პერსონალის უფლებები და ვალდებულებები**

4.1. კონსერვატორიის აფილირებულ აკადემიურ პერსონალს აქვს უფლება ისარგებლოს კონსერვატორიის სახელით საზოგადოებრივ, საექსპერტო, საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევით და შემოქმედებით ღონისძიებებში

მონაწილეობისას როგორც ქვეყნის, ასევე მის ფარგლებს გარეთ და კონსერვატორიის მისიით განსაზღვრული მიზნების რეალიზებისა და პოპულარიზებისათვის განხორციელებული აქტივობებისათვის მიიღოს დამატებითი მხარდაჭერა (უპირატესობა დაფინანსების/თანადაფინანსების გაცემის დროს ნაშრომის გამოცემის, საკონცერტო მასალების ჩაწერის, აკადემიური შვებულების და სხვ. უზრუნველყოფისათვის).

4.2. კონსერვატორიის აფილირებული აკადემიური პერსონალი უფლებამოსილია ახორციელებდეს შრომით და თანმდევ ურთიერთობებს კულტურულ-შემოქმედებითი/საშემსრულებლო, საგანმანათლებლო და კვლევითი მიმართულებით სხვადასხვა ორგანიზაციებთან და კოლექტივებთან თანამშრომლობის ფარგლებში და ამავდროულად, სარგებლობდეს როგორც კონსერვატორიის, ასევე სხვა დამსაქმებლის სახელითა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით;

4.3. სხვა დამსაქმებელთან შრომით ურთიერთობებში მყოფი კონსერვატორიის აფილირებული აკადემიური პერსონალი ვალდებულია სრულად კონსერვატორიის მიერ ან/და კონსერვატორიისათვის კვლევითი/სამეცნიერო საქმიანობისათვის გამოყოფილი მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერით განხორციელებული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შედეგები გამოაქვეყნოს მხოლოდ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის სახელით.

4.4. კონსერვატორიის აფილირებული აკადემიური პერსონალი, რომელიც შრომით ურთიერთობებში იმყოფება სხვა დამსაქმებელთან და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას ახორციელებს მხოლოდ ამ უკანასკნელის მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერით, ვალდებულია საქმიანობის შედეგები გამოაქვეყნოს თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის, როგორც პირველადი დაწესებულების სახელით, ამავდროულად მიუთითოს მომიჯნავე უფლებათა სუბიექტის სახელი.

4.5. სხვა დამსაქმებელთან შრომით ურთიერთობებში მყოფი კონსერვატორიის აფილირებული აკადემიური პერსონალის მიერ სხვა ორგანიზაციების და კონსერვატორიის ნაწილობრივი ჩართულობით (თანადაფინანსებით) განხორციელებული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შედეგები ეთვლება კონსერვატორიას, ისევე როგორც კონკრეტულ აქტივობაში ჩართულ სხვა მხარდამჭერ დაწესებულებას/დაწესებულებებს. ასეთ შემთხვევაში, კონსერვატორიის აფილირებული აკადემიური პერსონალი ვალდებულია თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია მიუთითოს, როგორც პირველადი დაწესებულება, ამასთანავე მიუთითოს თანადაფინანსების უზრუნველმყოფი ორგანიზაცია/ორგანიზაციები, როგორც მომიჯნავე უფლებათა სუბიექტი/სუბიექტები.

4.6. კონსერვატორიის აფილირებული აკადემიური პერსონალი, რომელიც ახორციელებს დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით პროექტს, ვალდებულია საქმიანობის შედეგები გამოაქვეყნოს მხოლოდ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის სახელით.

4.7. აფილირებული აკადემიური პერსონალი ვალდებულია, გარდა მასთან გაფორმებული შრომითსამართლებრივი ურთიერთობების მარეგულირებელი აქტებისა (შრომითი ხელშეკრულება, შეთანხმება და სხვ.) და კონსერვატორიაში

მოქმედი შრომითსამართლებრივი აქტებით მისთვის განსაზღვრული შრომის პირობებისა, დაიცვას წინამდებარე წესის მოთხოვნები, რომელიც მისი შრომითი ხელშეკრულების შემადგენელი (განუყოფელი) ნაწილია.

4.8. კონსერვატორიის აფილირებული აკადემიური პერსონალი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განაცხადოს უარი კონსერვატორიასთან აფილირების შეთანხმებაზე, იმ შემთხვევაში თუ იმ მომენტისათვის ის არ სარგებლობს დამატებითი მხარდაჭერით. აფილირებაზე უარი წერილობითი ფორმით წარდგენილ უნდა იქნას კონსერვატორიის ადამიანური რესურსების მართვის სამსახურში;

4.9. კონსერვატორიის აფილირებული აკადემიური პერსონალი, რომელიც სარგებლობს კონსერვატორიის მიერ განსაზღვრული დამატებითი მხარდაჭრით, უფლებამოსილია განაცხადოს უარი კონსერვატორიასთან აფილირების შეთანხმებაზე მას შემდეგ, რაც უზრუნველყოფილ იქნება დამატებითი მხარდაჭერით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი პროდუქტი.

5. კონსერვატორიის უფლებები და ვალდებულებები

5.1. კონსერვატორია, არსებული რესურსების ფარგლებში, უფლებამოსილია უპირატესობა მიანიჭოს აფილირებული აკადემიური პერსონალის შესაძლებლობების რეალიზებას საზოგადოებრივ, საექსპერტო, საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევით და შემოქმედებით/საშემსრულებლო საქმიანობაში როგორც ქვეყნის, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

5.2. აკადემიური პერსონალის მხრიდან აფილირების შეთანხმებაზე უარის გაცხადების შემთხვევაში კონსერვატორია უფლებამოსილია არ გასცეს ან/და შეწყვიტოს დამატებითი მხარდაჭერა (უპირატესობა დაფინანსების/თანადაფინანსების გაცემის დროს ნაშრომის გამოცემის, საკონცერტო მასალების ჩაწერის, აკადემიური შვებულების და სხვ. უზრუნველყოფისათვის).

5.3. არააფილირებული აკადემიური პერსონალი და კონსერვატორია უფლებამოსილი არიან ნებისმიერ დროს დადონ აფილირების შეთანხმება; აფილირების ვადა განისაზღვრება აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის ვადით თუ აფილირების შეთანხმებით სხვა (ნაკლები) ვადა არ არის განსაზღვრული;

5.4. კონსერვატორია ვალდებულია ხელმისაწვდომი გახადოს წინამდებარე წესი საჯარო გაცნობისათვის და აკადემიური თანამდებობის დაკავების მსურველს გააცნოს მისი შინაარსი, ასევე კონსერვატორია იტოვებს უფლებას კანონმდებლობით დადგენილი წესით გადაამოწმოს ამ წესით გათვალისწინებული პირის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია.

6. გარდამავალი დებულებები

6.1. პირი, რომელსაც სურს დაიკავოს კონსერვატორიის აკადემიური თანამდებობა ან უკვე ფლობს მას, ვალდებულია გაეცნოს წინამდებარე წესის მოთხოვნებს.

6.2. აკადემიური თანამდებობაზე ასარჩევი კანდიდატი, კონკურსში მონაწილეობის მიღების მიზნით, ვალდებულია გაეცნოს კონსერვატორიის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული დადგენილების „სსიპ – თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) აფილირების წესი და პირობები“-ს მოთხოვნებს, წერილობით დაეთანხმოს ან არ დაეთანხმოს მხოლოდ კონსერვატორიასთან აფილირების შესახებ (რაც ძალაში შევა მის მიერ შესაბამისი აკადემიური თანამდებობის დაკავებისთანავე) და დაადასტუროს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ გააჩნია თუ არა ძალაში მყოფი ანალოგიური ხასიათის დოკუმენტი (ხელშეკრულება, შეთანხმება ან სხვ.) სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან.

6.3. კონსერვატორიის ის აკადემიური პერსონალი, რომელსაც გააჩნია ამ წესის ძალაში შესვლის დროისათვის მოქმედი შრომითი ხელშეკრულება (პროფესორის, ასოცირებული პროფესორის, ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე) უფლებამოსილია კონსერვატორიასთან გააფორმოს ან არ გააფორმოს აფილირების შეთანხმება წინამდებარე წესით განსაზღვრული პირობებით.

6.4. კონსერვატორიის მხრიდან აფილირებული პერსონალისათვის გათვალისწინებული დამატებითი მხარდაჭერის ღონისძიებების რაობის განმსაზღვრელი დოკუმენტის შემუშავება დაევალოს ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს, კვლევის დეპარტამენტსა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებს არაუგვიანეს 2021 წლის 30 ნოემბრისა. აღნიშნული დოკუმენტი დასამტკიცებლად წარედგინოს კონსერვატორიის აკადემიურ საბჭოს.

დანართი № 1.1

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შედეგების გამოქვეყნებისას ავტორის მონაცემების მითითების ნიმუში

1. <ავტორის, მკვლევარის სახელი და გვარი>, პროფესორი, სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია, საშემსრულებლო ფაკულტეტი;

2. <ავტორის, მკვლევარის სახელი და გვარი>, ასოცირებული პროფესორი, სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია, კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტი;

3. <ავტორის, მკვლევარის სახელი და გვარი>, ემერიტუსი, სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია, კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტი; ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრი;

4. <ავტორის, მკვლევარის სახელი და გვარი>, პროფესორი, თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია, საშემსრულებლო ფაკულტეტი; ილიას უნივერსიტეტი, მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტი;